ოქმი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2024 წლის 28 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მალხაზი იოსავა
5. აკაკი მალანია
6. ბადრი რიჟამაძე
7. სერგო ბერაია
8. ნინო ბოკუჩავა
9. ფელიქსი წურწუმია
10. გურიელ ქარდავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 22 თებერვლის N50-502405720 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 26 თებერვლის N50-502405746 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ“).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 28 თებერვლის N50-5024005930 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, **წინააღმდეგი - არც ერთი**
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 22 თებერვლის N50-502405720 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები და განისაზღვრა - 24193.0 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 29655,0 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები.

ბიუჯეტის პროექტში ხორციელდება ნაშთის 1704,6 ათასი ლარის ასახვა, რომელიც მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე 8,7 ათასი ლარი,

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 1488,7 ათასი ლარი,

პრიორიტეტის ,,დასუფთავება და გარემოს დაცვა“ ასიგნებებზე 5,4 ათასი ლარი,

პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებებზე 201,8 ათასი ლარი,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, **წინააღმდეგი - არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 26 თებერვლის N50-502405746 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ").

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ანგარიში, ანგარიშის თანახმად საანგარიშო წლის ბოლოსთვის შესყიდვების გეგმის საერთო მოცულობამ შეადგინა 16 899616,22 ლარი. 2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იქნა- 97 ელექტრონული ტენდერი აქედან:

1. გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 65 ხელშეკრულება.
2. არ შედგა-18 ელეტრონული ტენდერი.
3. შეწყვეტილია- 5 ელეტრონული ტენდერი.
4. დასრულდა უარყოფითი შედეგით - 9 ელეტრონული ტენდერი.

2023 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 107 ხელშეკრულება , რომლის ჯამური ღირებულებაა - 910 118,14 ლარი.

2023 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერის შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 28 ხელშეკრულება , რომლის ჯამური ღირებულებაა - 2 388 559 ლარი.

2023 წლის განმავლობაში სახელწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში სულ განხორციელდა 107 ცვლილება.

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადდა 28 ელექტრონული ტენდერი, საზედამხედველო მომსახურებაზე 1 ელექტრონული ტენდერი, რომელიც მოიცავს 2023 და 2024 წლების განმავლობაში განსახორციელებელი ერთწლიანი ან/და ამავე წლებში დასაწყები მრავალწლიანი 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების, მათი პროექტების (საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში) და მიმდინარე შესყიდვამდე არსებულ პროექტებში (საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში) შესატანი ცვლილების პროექტის საზედამხედველო მომსახურებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 28 თებერვლის N50-5024005930 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რომლის მე-2 დანართში ცვლილებით, დანართის ცხრილიდან ამოღებულია მერიის წვევამდელთა რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისთვის გათვალისწინებული ლიმიტის ოდენობა (390 ლ. დიზელი), ხოლო მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის გათვალისწინებული 300 ლ. ბენზინის საწვავი იცვლება 300 ლ. დიზელის საწვავით.
განკარგულების . პროექტში ასევე გათვალისწინებულია ცვლილება მე-6, დანართში და მერიისთვის განსაზღვრული ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის ცხრილიდან ასევე ამოღებულია ჩანაწერი წვევამდელთა რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისთვის განსაზღვრული ლიმიტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია